# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 107.

წელიწადი მეორე

1913

ოთხშა ათი, 24 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეპოლამპეულის, ჭურჭელეულო-ს, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

...ჩოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ია-...ზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თო-... 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქუთაისი.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟა, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



### ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხე... მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის და-...ეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.



### ახალი გამოგონება მეცნიერებაში

...ადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სო-კოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

## ახალი სითხე ქაკმენის ᲣᲣ

...ავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის კანტორა კლო ელურული ...თაისში საწყობი და ნარდი გაყიდვა ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.



... ივლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

## „შოთა რუსთველი და მისი პოემა"

...ნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუს-...ლის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

...წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამდიდრებლათ.

...ც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.



### თფილისის მეორე რვაკლასიანი

...მერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ველ კლასში | მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| ...რეში | „ | „ 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| ...მეში | „ | „ 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.



## ...ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

...ვიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.



1911 წლიდან ცაგერში

(ლეჩხუმის მაზრა) გახსნილია

## სამოქალაქო სასწავლებელი

მისაღები გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვიდან ამა 1913 წლისა. თხოვნები შეიძლება ადრე იქნას გამოგზავნილი ინსპექტორის სახელზე.



ქუთაისის სამასწავლებლო

## სემინარია,

რომელიც არსებობს დაბა ხონში, ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 25 რიცხვიდან.

ამ რიცხვს მოხთება გაშინჯვა შემომსვლელთა ჯანმრთელობის მხრით, და შემდეგ გამოცთიან ცოდნაში.

თხოვნები საბუთებითურთ უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს თუთხმეტი მარიობისთვისა.



## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



საზღვარგარეთელი **სტუდენტი**

ამზადებს მოსწავლეთ გიმნაზიის ყველა კლასებისას შემდეგ საგნებში: ისტორიაში, რუსულში, გეოგრაფიაში, ქართულში. ასწავლის აგრეთვე გერმანულ (ნემეცურ) ენებს ოტტო ბაუერის ახალ სისტემაზე. შეუძლია მსურველს ერთ რომელიმე აგარაკათ წაყვეს. მიმართეთ გაზ. „იმერეთის" რედაქციაში ვ. ჭელიძეს.



**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



**კ ბ ი ლ ი ს ა ქ ი მ ი** ანა **ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა, სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**გაზეთი „იმერეთი"** იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.


## დ ღ ი უ რ ი.

ბულგარეთის სახალხო კრებამ ომის საჭიროებისათვის 50 ათასი ფრანკის სესხათ აღების პროექტი მიიღო.

— რუმინიისა და ბულგარეთის დელეგატები საზღვრის საკითხში შეთანხმდენ.

— ფრაკიის საკითხში ოსმალეთი დათმობის გზას ადგია.

— ბულგარეთის მთავარი მინისტრი გეშოვი პეტერბურგს მივიდა.

— მებრძოლ მხარეთა შორის მოხდა შეთანხმება, რომ დროებითი ზავი ნაცვლათ 3 დღისა 5 დღეს გაგძელდეს.

— ბულგარლებმა ბერძნები გაფანტეს და ბრეგალნიცა დაიჭირეს.

— აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ჩეხიაში აგიტაცია ძლიერდება.

— ლისაბონში (პორტუგალია) ყუმბარების საწყობი აღმოაჩინეს და 1600 ყუმბარა ნახეს.

— ესპანიაში მუშათა საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

— გერმანიისა და ნორვეგიის მეფეებმა ერთმანეთი ინახულეს.

— სპარსეთში შავი ჭირი მძვინვარებს.

— ნეაპოლში ფილოსოფოსი პეტრონე გადაიცვალა.

— კოროლენკოს შესახებ მუშებისათვის წასაკითხი ლექცია მთავრობამ აკრძალა.

— ალექსანდროვსკში საშვალო შკოლების მოწაფეთა ჯგუფი დააპატიმრეს.

— კალუგის ორმა დეპუტატმა დეპუტატობას თავი დაანება.

— „რუსკოე სლოვო" ხუთასი მანეთით დააჯარიმეს.

— ბარსელონაში მუშათა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო.

— ჩეხიაში პოლიტიკური პარტიები ხალხს ურჩევენ გადასახადები არ შეტანოთო.

— რუმანიის მეფემ სააუდენციოთ მიიღო ვენეზილოსი, ტონჩევი, პაშიჩი და ვუკოტიჩი.

— გადასახლების სამართველოს მოხელემ მათვეევმა 29  თსი მანეთი წაიღო და მიიმალა.

— ბეირუთში ხონთქრის ბძანებით სამხედრო სასამართლო შემოიღეს და ბეჭვდითი საქმის შესახებ კანონები გაუქმდა.

— საბერძნეთის სატახტო ქალაქს, საბერძნეთ ოსმალეთს შორის დიპლომატიური განწყობილების აღსადგენათ, ოსმალეთის წარმომადგენლები მივიდენ.

## თვითნება პრეზიდენტი.

საერთაშორისო მდგომარეობის ახლოართვა და ბალკანეთის ტრაგედიაა მიზეზი, რომ ჩინეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ მსვლელობას ჯეროვანი ყურადღება აშორდა. ახალგაზდა რესპუბლიკა ერთობ ცუდ დღეშია. პრეზიდენტი იუანშიკაის თვითნება, დესპოტურმა მოქმედებამ ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და ამ ჟამათ ჩინეთის თვალუწვდენი სივრცე უარეს მოძრაობის კორიანტელშია გახვეული, ვიდრე იგი რევოლუციის პირველ დღეებში იყო.

ჩინეთის პოლიტიკური ცხოვრება კრიზისშია, რევოლუციონური მოქმედების გამარჯვებით დაგვირგვინებას და რესპუ-

ბლიკის აღორძინებას ბევრი ხელის შემშლელი პირობა და პირი გამოუჩნდა. იუანშიკაის მიერ გამეფებული რეჟიმი მიმართულია ყოველი თავისუფალი მოაზრისა და იუანშიკაის კერძო მტერთა, მისი მიმართულების არა მიმდევართა წინააღმდეგ. ხალხის უკმაყოფილების პირველმა ქარიშხალმა მაშინ დაბერა განსაკუთრებულის სიძლიერითა და სიცხადით, როდესაც იუანშიკაიმ თვითნებობა გამოიჩინა და ხალხის დაუკითხავათ, პარლამენტის უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ სახელმწიფოებს სესხი გამოართვა, რომელიც, როგორც ახლა ირკვევა, „თავისუფალ მოაზრეთა“ წინააღმდეგ ბრძოლისთვის უნდა მოეხმარა ნორჩი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს. ხალხის უკმაყოფილება ერთი ორათ გააძლიერა იუანშიკაის მიერ მიღებულმა რეპრესიულმა ზომებმა ვითომ რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ, რადგან არსებითად პრეზიდენტის ბრაზი და რისხვა რესპუბლიკის უანგარო მესვეურთა და რევოლუციონური მოძრაობის პიონერთა წინააღმდეგ იყო მიმართული, აი, ყველა ეს მიზეზი უწყობდა ხელს სამხრეთ ჩინეთში ახალი რევოლუციონური ქარიშხალის ამოვარდნას და სამხრეთის რევოლუციონერების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადებას იუანშიკაის წინააღმდეგ. მართვა-გამგეობა შუა გაიყო და სამხრეთით შვიდმა პროვინციამ, სადაც 150 მილიონი მცხოვრებია, თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადა და სამხრეთ-ჩინეთის ფედერაცია დააწესა.

სამხრეთ-ჩინეთის რევოლუციონერთა ცთამ, რომ ახალგაზდა რესპუბლიკა აღორძინების გზაზე დამდგარიყო და პრეზიდენტს თავი დამოუკიდებლათ არ ეგრძნო, უნაყოფოთ ჩაიარა, არავითარმა კომპრომისმა არ გასჭრა იუანშიკაიზე და მისი სიტყვები, რომ ნაპოლეონს ვაშინგტონობა მირჩევნია, ცოტა არ იყოს მისმა მოქმედებამ საეჭვოთ გახადა. მოთმინება დაკარგული სამხრეთი იძულებული იყო რეალურ ზომებისთვის მიემართა პრეზიდენტის საწინააღმდეგოთ და ამნაირათ სამხრეთის რევოლუციონერთა და იუანშიკაის შორის დაიწყო ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი, რომელიც თანდათან უფრო მწვავე და მკაცრს სახეს იღებს. სამხრეთის მოძრაობას სათავეში ჩაუდგენ გამოჩენილი რევოლუციონერები იუანშიკაის ამხანაგის, ვიცე-პრეზიდენტის ხუანსინის მეთაურობით და მათ განკარგულებაში ჯარისკაცთა 4—5 დივიზიაა. თუმცა რევოლუციონერთა ამ 4—5 დივიზიის წინააღმდეგ იუანშიკაის 6 კარგათ გაწვრთნილ ჯარისკაცთა დივიზია შეუძლია გამოიყვანოს, თუმცა მისსავე განკარგულებაშია უცხო სახელმწიფოთაგან აღებული სესხი, რომელსაც მატერიალურათ დაზიანებული რევოლუციონერთა წინააღმდეგ გამოიყენებს, მაგრამ რევოლუციონერთა მთავარ ძალას და სიმდიდრეს ფართო მასის, ხალხის დემოკრატიული ნაწილის უსაზღვრო თანაგრძნობა შეადგენს, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს თვითნება პრეზიდენტს, რადგან საშიშია მთელ ხალხთან ბრძოლა, იმ ხალხთან, რომელშიც უკვდავია თავისუფლებისადმი ტრფიალი და სამშობლოსადმი სიყვარული.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

აკადემიკოსი მარი ანიდან დღეს უნდა ჩამოვიდეს ქუთაისს. მზგავსათ გასული წლებისა ქუთაისიდან აკადემიკოსი სვანეთს მიემგზავრება ისტორიული ნაშთებისა და სიძველეთა გამოკვლევის გასაგრძობათ.

✦ ყოველი მხრიდან დიდი გოლვების ცნობები მოგვდის. ნათესები ახმა ერთიანათ და ხალხი დრტვინავსო. მესამე დღეა რაც საწვიმროთ ემზადება. ეკლესიებიდან ბევრგან ხატები წაასვენეს მდინარეებში გასაბანათ...

სადაც სარწყავი არხებია და ნოტიო ადგილები უხვ მოსავალს მოელიან, შესანიშნავი ყანებიაო.

✦ ებრაელების რაბინისა და მისი თანაშემწის არჩევა გასულ კვირას არ მოხდა, რადგან კრებას მცირე რიცხვი დაესწრო, არჩევანი სხვა დროსთვის გადაიდვა.

✦ კანონ-პროექტი, რომლითაც სახალხო მასწავლებელს ყოველი ხუთი წლის სამსახურს შემდეგ ჯამაგირზე სამოცი მანეთი ემატება, უკვე გავიდა და სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა. ასე რომ ამას შემდეგ მას სულ ოთხი მიმატება ექნება, რაიც 240 მანეთს შეადგენს. მხოლოდ ამ 1913 წელში ოცი წლის ნამსახური მასწავლებელი მიიღებს ერთად 240 მანეთს, 1914 წელში—თუთხმეტი წლის ნამსახური და შემდეგ წლებში კი დანარჩენი 10 და 5 წლის ნამსახური. კანონი სამი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდესო.

✦ საიმპერატორო საისტორიო საზ.—ის თანამშრომელს ვინოგრადოვს დაუსრულებია რუსულ ენაზე ისტორ.-ბიოგრაფიული აწერა ქართ. მიტროპოლიტის რომანოზის ცხოვრებისა. რომანოზი არაგვის ერისთავთა ჩამომავლობისა იყო. განათლება დავ.-გარეჯის მონასტერში მიუღია და ერთ დროს მცხეთის ტაძარში ღვდელმთავრობდა. შემდეგ ანანურში. (ს.გ.).

✦ „სახ. გზ.“ რედაქცია აცხადებს, რომ პოეტი ჩ. ჩხიკვაძე არაოდეს მისი თანამშრომელი არ ყოფილა, როგორც ამას აცხადებდა ბატონი ჩხიკვაძე „თანამედროვე ქვეყანაში“ დასტამბულის თვის პროტესტში.

✦ ს. ბანძაში შალვა დადიანის დახმარებით წარმოდგენა გაუმართავთ, რომლითაც ადგილობრივ სამკითხველოსა და თეატრის სასარგებლოთ თუთხმეტი თუმანი დარჩენილა. მადლობის ღირსია ადგილობრივი საზოგადოება, რომ ასე მხურვალეთ ეკიდება და თვის წვლილს არ ზოგავს საზოგადო საქმისთვის.

## მოწერილი ამბავი.

**ს. წყალტუბო.** 29 ივნისს აქ წარმოადგინეს გუნიას პიესა „და ძმა“. წარმოდგენაში ადგილობრივი სცენისმოყვარეები იღებდენ მონაწილეობას. ამ წარმოდგენას ხელი შეუწყო ს. იოსელიანმა. ეს პირი ყოველგვარ კულტურულ საქმეს თანაგრძნობით ეკიდება, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

**ბაკურიანი** ერთი კვირაა, რაც აქ გამუდმებით წვიმს. 14 ივლისს წვიმას საშინელი სეტყვა მოყვა. ამ ჟამათ მოაგარაკეთა რიცხვი დიდია, ოთახის შოვნა სჭირს. ამ თვის 16-ს აქ უბედურება დატრიალდა. მოაგარაკე ჯულელს ორი ბავშვი მოუკვდა. როგორც გამოირკვა სიკვდილი მოწამლული მარწყვის ჭამას გამოუწვევია.

**სად. შორაპანი.** 14 ივლისს ადგილობრივ სცენის-მოყვარეთა მიერ ბ-ნი ნიკურაძის რეჟისორობით რკინის გზის მოსამსახურეთა სამკითხველოს სასარგებლოთ ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა- ხალხიც ბლომათ დაესწრო. ხსენებული სამკითხველო მატერიალური მხრით ცუდს პირობებში იმყოფება და ამ წარმოდგენამ სულზე მიუსწრო.

**საჩხერე (ზემო იმერეთი)** 7 ივლისს მოხდა საზოგადო კრება, რომელმაც დაადგინა საჩხერეში აშენდეს სახლი, რომელშიც მოთავსებული იქნება აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველო და განსვენებული ბიჭიკო წერეთლის სახელობის სათეატრო დარბაზი. ჯერჯერობით ამ საქმისთვის 1500 მანეთზე მეტი არაა მოგროვილი, სულ კი 3 ათასი მანეთი უნდა მოგროვდეს. 8 ივლისს გრ. ჩარკვიანის რეჟისორობით გაიმართა წარმოდგენა, რომელიც „ბავშობა“ უფრო იყო, ვიდრე სერიოზული რამ. საჭიროა მეტის ზდილობითა და პატივისცემით ეპყრობოდენ საზოგადოებას.

# ფიქრთა მორევში.

— იცით, რას გირჩევთ.—წადით, მარჩიელს აკითხვინეთ, მიიღებთ თუ არა თქვენ ოდესმე ადგილს რომელსამე აქაურ სასწავლებელში...

ამ პასუხით გამოუსტუმრებია სათანადო მთავრობას ერთი უნივერსიტეტ დამთავრებული ქართველი, რომელიც მასწავლებლის ადგილს თხოულობდა.

მართლაც სამარჩიელოთ გამხდარა ჩვენი საქმე.

რამდენი ღარიბი მშობელია—შვილს ქაპანწყვეტითა და გაჭირვებით სწავლას ამთავრებიებს, რომ იტყვიან—წელებზე ფეხს იჭერს, იმ იმედით, რომ შვილს მოესწრება და იგიც ღარიბ მშობელსა და ოჯახს ფეხზე დააყენებს, დანახარჯს აუნაზღაურებს...

მაგრამ იძულებულია მოშორდეს ამ მშობლებს, ოჯახს, მოწყდეს მშობელ ქვეყანას, ერს...

აქ ადგილს არ აძლევენ...

რისთვის, რა ცოდვა გადიდდა ასეთი, რომ მკვიდრს მკვიდრთა შორის სამსახურის ნებას უსპობენ ძალიან ხშირათ, უპირატესობას უცხოს აძლევენ, რომელსაც მკვიდრისა არ ესმის რა, არც იმისი გაეგება მკვიდრს!

სამართალია, სიმართლეა?

**დ. მესხი.**

# სადაო ადგილი საავათმყოფოსთვის:

**ლეჩხუმის მაზრაში.**

მთავრობის განკარგულებით, ქუთ. გუბერნიის ყოველ მაზრაში, 1915 წელს უნდა დაარსდეს ორ-ორი უფასო საავათმყოფო.

ადგილის ასარჩევათ—თუ სად უფრო საშუალო იქნება საავათმყოფოსათვის—ყოველ მაზრაში სდგება კომისია: თავადაზნაურობის წინამძღოლისაგან, მაზრის უფროსისაგან, მაზრისა და უბნის აქიმისაგან და მომრიგებელი შუამავლისაგან. ასეთ კომისიას ლეჩხუმის მაზრაშიც ქონია თათბირი და დაუდგენია: ერთი საავათმყოფო დაარსდეს [illegible] მეორე (სვანეთში) ს. სასა.

პირველზე არა ითქმის რა, ხოლო ...

[illegible]

დოება ს. სასას უვარგისათ სცნობ... ასახელებს ს. ჭრებალოს და ს. მექვ... ახლა გავარჩიოთ, რომელ ადგილს ეკ... ნის უპირატესობა ყოველი მხრით.

ს. ჭრებალო დაახლოვებულია ღ. ლაშ (სადაც უკვე არსებობს ასეთი პის საავათმყოფო) ათ-თორმეტი ვერ... ეს ერთი მხრით და მეორეთი ს. ჭრ... ლო უახლოვდება რაჭის საავათმყ... 8 ვერსით.

ს. მექვენა (დერჩის საზოგადოება) ლაილაშზე 28 ვერსით და ქუთაისზე ... ვერსითაა დაშორებული. აქიმი ბეთან... აზრით ს. სასა ს. მექვენასთან შედ... ბით ყოვლად უვარგისია. ს. სასაში ... ამბობს აქიმი—ჩემის აზრით საავათმყ... ორ წელსაც ვერ იარსებებს, რადგან... ათი ავათმყოფი არ ეყოლება მუდმივ...

ს. სასაში 300 კომლია მცხოვრებ... მექვენას, ამ მომავალ დაბას, უახლო... ბა 16 სოფელი, თითოეული არა უმ... რეს 12 ვერსისა. და ბევრი უფრო... ლოსაც აქ ცხოვრობს 1400 კომლი... მიუმატებთ ს. ოყურეშს, ლაჭან... ოფიტარას და მახურას, რომელნიც ... რათ მექვენიდან სარგებლობენ. ფერშ... ამ სოფ. დ. ცაგერი უახლოვდება 18 ვერ... სით. ს. მექვენაში არსებობს ფერშ... სადგური და უფასო აფთიაქი.

ასე რომ ყოველი მხრით პირვე... ეკუთვნის ს. მექვენას, სადაც ამდენ მ... რებს ესაჭიროება საავათმყოფო.

საჭიროა სადაც ჯერ არს, თუ კ... დაგვიანებული არ არი და საბოლო... გადაწყვეტილი, ვიშუამდგომლოთ რომ... ავათმყოფო ამ ყოველი მხრით საუ... სო ადგილას არ აშორდეს.

**ა. ნიშნიან...**

# ორიოდე სიტყვა რადის მედიცინაში მისი მნიშვნე... ბის შესახებ.

**წყალტუბოს აბანოს წყალში რ... აღმოჩენის გამო.**

დიდი ხანი არ არის, რაც რადი... აჩინეს. ეს ნივთიერება მეტათ იშვ... და მეცნიერებაში მისმა აღმოჩენამ ... მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მალე ... შესწავლას და გამოკვლევას ხელი მ...

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე.

XII.

**ჩემი კრიტიკის „კრიტიკის“ გამო.**

(გაგძელება, იხილე „იმერეთი“ 106 №-ი).

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, ხელოვნება მით არის უკვდავი, რომ იგი დროის გარეშეა და ყოველ ეპოქას ახალის სახით ევლინება ძველი შინაარსი, ისე როგორადაც ახალის შინაარსი იშლება ძველ სახეში. ამიტომ მან არ იცის ძველი და ახალი, იგი უკვდავია, როგორც ღმერთი და ემპირიულათ ვერ ამოშრება მისი საიდუმლოება, როგორც ღვთაების. ამგვარათ უსაფუძვლოა ბ—ძის აზრი პოეზიის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც დღიურ საჭიროების მიხედვით აფასებს მას და ამით ხელოვნების საკითხს სვამს იმ სფეროში, (სოციალურ, პარტიულ) საცა მისი გადაწყვეტა ყოვლათ შეუძლებელია.

ამნაირათ გადაწყვეტილი საკითხი ყოველ ახალ ეპოქაში ხელახლა წამოყოფს თავს, მაშინ როდესაც ეკონომიურ საკითხის მხარეების გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ერთხელ და სამუდამოთ. სწორედ ამ შეცთომის ნაყოფია ბ—ძის მოსაზრება, თითქოს „ვარდ-ბულბულზე (იგულისხმეთ ბუნების აღწერა, სიყვარულის, უკვდავების, და საზოგადოთ მ რადისობის პრობლემა) ბევრი დაწერილა, ბრძოლაზე კი ცოტა“, აქედან ავტორს ის დასკვნა გამოყავს, რომ პირველთა შესახებ არაფერი ითქმის ახალი ხელოვანისაგან, ხოლო მეორეზე კი ცოტა დაწერილა და ამიტომ ხელოვნებამ სწორედ ეს ნაკლი უნდა შეავსოს, ე. ი. სოციალური ბრძოლის მოტივები ამუშაოს.

აქ აშკარათ სჩანს ავტორის შეხედულება ხელოვნებაზე; მას გონია, რომ არსებობს ერთი საზღვარი, რომლის იქეთ მხატვარი ვერ წავა და აქ ობიექტის აღწერაც თავდება. ამის შემდეგ, ყოველი აღწერა განმეორება იქნება ძველის სახისა. ბუნება სავსებით აღწერეს პოეტებმა და მხატვრებმა, ისინი მის საზღვრამდი მივიდენ, ავტორის აზრით: „ვარდ-ბულბული“ ისეთი თემაა, რომლის შინაარსს სტატისტიკური ხასიათი აქვს, ის არ იცვლება და არ ვითარდება!!. ამრიგათ აქ მხატვართა როლი სავსებით დამთავრდა, დარჩა მეორე—ბრძოლის მხარე, „რომლის შესახებ ცოტა დაწერილა“ და მაშასადამე რომლის საზღვრებამდი ჯერ ვერ მიგვიხწევია. მაშასადამე პოეტებმა (თუ უნდათ ახალი სიტყვა სთქვან), ამ სფეროს უნდა მიმართონ, ბრძოლის მოტივები ამუშაონ, სანამ მის საზღვრამდიც არ მივალთ და სულ არ ამოვწურავთ მას.

შემდეგ? იკითხავს მკითხველი.. შემდეგ, ცხადია, ხელოვნება მოკვდება და ეს მოხთება მაშინ, როცა ბრძოლის შესახებაც ისევე „ბევრი დაიწერება“, როგორადაც „ვარდ-ბულბულზე“. ამრიგათ, ჩვენ დავინახეთ, რომ ბ—ძის მსჯელობის განვითარებამ ლოღიკურ ობსურდამდი მიგვიყვანა, რომლის ძალით შესაძლოა ყველაფრის შესახებ ყველაფერი სთქვას პოეტმა და შემდგომ პოეზია უნდა მოკვდეს, რადგან მას მასალა არ ექნება. ასეთი წარმოდგენა ხელოვნებაზე ქონდათ პირველყოფილ ხალხს, რომელთაც ვერ გასცილებია ბ-ნი ბაქრაძე.

თვითონ ის ესთეტიკოსი გიუიო, რომელიც ჩემს წინააღმდეგ გამოალაშქრა ბ—ძემ, აი, რას ამბობს ამის შესახებ: ხელოვნება, რომელიც გრძნობას ემყარება, არის საზოგადოების უფლების განვითარება ბუნების ყოველ საგნებზე, იმ საგნებზედაც კი, რომელნიც ზებუნებრივათ ითვლებიან, ანუ, უკანასკნელათ, ადამიანის გონების მიერ შექმნილ ფიქტიურ საგნებზე“.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ხელოვნების განვითარების გზა, არის ადამიანის უფლების განვითარება ბუნების ყოველ საგნებზე და მოვლენებზე, ხოლო ეს უკანასკნელი მუდამ განუსაზღვრელია; განუსაზღვრელია ადამიანის ლტოლვა ბუნების ემპირიულათ ასახსნელათ, მას არც წარსულში ქონია საზღვარი და არც მომავალში ექნება. მაშასადამე, გიუიოს აზრით, თვით ხელოვნებაც საზღვრების გარეშეა, მაშასადამე მარადიული და მისი ამოწურვა მხოლოდ ბ—ძის ფანტაზიას შეუძლია...

ამ მსჯელობას ბ—ძე იმ ობსურდამდი მიჰყავს, რომ იგი ამბობს: „ბუნების აღწერა, მშვენიერების სახე („ვარდ-ბულბული“) ერთნაირ ესტეტიურ განცდას იწვევდა: ჰომერისის, ვირგილის, პეტრარკის, რუსთველის, ჰეინეს და ჩვენს დროშიაც. ამიტომ ამ განცდის გარეგნულათ გამოსახვაც ერთნაირ ხასიათს იღებს“... და სხვ. ავტორისათვის სავსებით უცნობია პოეტური განცდის თვისებანი, მას არ ესმის რა საიდუმლოებრივი და შეუმცნებელი ძალაა პოეტურ ჭვრეტაში და რითი განსხვავდება იგი მეცნიერულათ ბუნების კვლევა-ძიებისაგან. პირველში მხოლოდ ინდივიდუალობა მჟღავნდება, მისი გზა ყოველთვის განსხვავებული და თავისებურია, თუ იგი პოეტურია, ხოლო მეორე გზა მუდამ ერთნაირია, ერთგვარის მეთოდით გაზომილი, თუ იგი მეცნიერულია. ამ ორ გზის არევა უვიცობას და ქაოსს ამკვიდრებს. არათუ ზემოთ ჩამოთვლილ გენიოსების, არამედ საშუალოდ ნიჭიერ პოეტის შემოქმედებასაც ვერ პოებს ბ-ნი ბაქრაძე, რომელიც სავსებით იტევდეს მეორე ინდივიდუალობას ამ სფეროში, რომელიც ერთგვარ სახეებათ შლიდეს ამ შინაგან ემოციებს, გამოწვეულს ბუნების მოვლენათა ხილვისაგან. ამაშია შემოქმედების საიდუმლოება; ამიტომაც არის იგი უკვდავი, ისე, როგორც ინდივიდუალობა არის უკვდავი კაცობრიობის ისტორი“-აში“.

თვით ესთეტიური გრძნობა ბ—ძეს ვიწრო სოციალური გონია. ეს მართალი იყო ამ გრძნობის განვითარების პირველ საფეხურზე. მისი წარმოშობის ისტორია რამდენიმეთ ამართლებს ამ დებულებას, მაგრამ საყურადღებოა ამ გრძნობის ევოლიუციის ისტორია, რომელიც მოწმობს, რომ იგი პროგრესიულათ სოციალურიდან გადადის ინდივიდუალურზე. იგი კაცობრიულ სილამაზიდან (მის ორგანიულ ფორმიდან). ობსტრაქტულ სილამაზეზე გადადის, რომელიც თავისთავად სიყვარულის საგნათ იქცევა, და მისი განცდა საზოგადოებრივიდან ინდივიდუალზე გადადის. ამ განვითარებას მეცნიერები რამდენიმე საფეხურად ყოფენ.

მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს თავიდან ვერ ავუხსნი ბ ნ ბ—ძეს, მაგრამ შემიძლია ამის შესახებ მივუთითო მას ტ. რიბოს შესანიშნავ ნაშრომზე: „გრძნობათა ფსიხოლოგია“.

მთელი შეცთომა ბ-ნ ბ—ძისა იმაში მდგომარეობს, რომ მაზე ეს ევოლიუცია არ მოქმედობს და იგი დღესაც მის პირველ (სოციალურ) საფეხურზე მსჯელობს, იქიდან მომდინარეობს... რაკი ბ-ნ ბ—ძის ამ მცდარ შეხედულებას გავეცანით ხელოვნების შესახებ საზოგადოთ, ჩვენთვის ადვილი გახდება იმ შეცთომების ხასიათის გაგებაც, რომლებიც ბ-ნ ბაქრაძემ დაუშვა ჩემი კრიტიკის „კრიტიკაში“, საცა იგი შეეცადა რუხაძის პოეზიის გარჩევის ნაცვლათ მისთვის ვექილობა გაეწია.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ბაქრაძე ხელოვნებას და კერძოთ პოეზიას სთვლის მოქალაქობრივ უფლებათა ბრძოლის უბრალო იარაღათ, საშუალებათ, ეს ბრძოლა ხანდახან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთ დროს ხელოვნებას მეტი მნიშვნელობა ეძლევა, დღეს სოციალური ბრძოლაც გამწვავდა და, მაშასადამე, „განსაკუთრებით მართალია იგი (იგულისხმეთ პოეზიის სამსახური ამ ბრძოლაში) დღევანდელ პირობებში“.

ასეთ „გამოსადეგ“ პოეზიათ უ... ბ—ძეს რუხაძის შემოქმედება და... გუნდრუკს უკმევს მარტო ამიტომ, დღეს უფრო საჭიროა ეს არსებულ... რობების დასაგმობათ.

ასეთ უტილიტარისტულ შეხედულ... დამცველათ ავტორს გამოყავს ჰაინე, ჰიუგო და მათი აზრებით თითქოს ... ბუთებს პოეზიის ასეთ დანიშნულებ...

უნდა მოვახსენო ბ-ნ ბ—ძეს, მისი მსჯელობა მეტათ ნაჩქარევ... იგი, გავს, არ იცნობს ამ მწერლებს, ... ცა მათ რუხაძეს ადარებს.

მე აღვნიშნე, რომ რუხაძის პო... ერთფეროვანია და მას პროგრამულ... მიტინგო ხასიათი აქვს-თქო, ამიტომ ... სი ქნარიც ისეთ შთაბეჭდილებას ახ... —თითქოს სდუმდეს.

ამაზე ბ-ნი ბ—ძემ შემნიშნა, რომ ... ხაძის პოეზიაში მხოლოდ შინაა... ერთგვარობაა, ბრძოლის მოტივები, ქალაქობრივი ჰანგები და ამით იგი ... სებით წააგავს ჰეინესა და ჰიუგოს.

მაგალითად მომიყვანა ჰეინეს „... წიგნი“. საზოგადოთ უნდა აღინიშ... რომ ჰეინე არ იყო იმგვარი ჯურის ... რალი, როგორც ეს ჩვენში გო... იგი უფრო მრავალფეროვანი და ... პოეტია; მისი შემოქმედება სამ ეპ... იყოფა; პირველში ისახება მისი რ... ტიზმი და პესიმიზმი, მეორეში—... ლის ჰანგები და პლატონიური ტ... ლება ელინიზმისადმი, მესამეში კ... ლიგიური ჭვრეტა. თვითონ ეს კლ... კაცია მოწმობს, თუ რამდენი ტ... განვლო პოეტმა, სანამ მისი შემოქ... ბა სწორ გზას დაადგებოდა.

1851 წელს „Pomanzepo“-ს წინა... ვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ... დაუბრუნდა ღმერთს, ვით დაბნ... შვილი, მას შემდეგ, რაც კარგა ... წყესდა ღორებს ჰეგელიანცებთან“.

ხოლო 2 წლის შემდეგ კი ამა... განზე აი რას ამბობს იგი: „მე შ...

ცოტა ხანს შემდეგ, რადის ემანაციდაიწყეს ლაპარაკი. ემანაცია—გაზია- (პაერგვარი სხეული, როგორც თქლი, ოშხივარი); პირველათ რუტერდმა შეამოწმა, რომ ის გაზია და ჩენილმა ინგლისელმა ქიმიკოსმაც ზაიმ კი პირველათ მიიღო ამ სახით. ის ემანაციას ღებულობენ რადიაქურ სხეულებიდან არსებითი თვისებით, ელიც გამოიხატება მათი თანდათაითი ცვალებადობით და გარდაქმნით; გარდაქმნის დროს აღარებელი ენერჩნდება. მეცნიერებამ არ იცის არც ნივთიერება ისეთი დიდი ენერგიით, როგორც რადის ემანაცია (75%). ატომიური წონა. თეორეტულათ ანგარიშებულია—222 (222—ერ წყალბადეზე), პრაქტიკულათ კი ებულია—222,5.

ს შემდეგ, რაც ეს ნივთიერებანი ენიმეთ მაინც შეისწავლეს, იმის გავლევა დაიწყეს, თუ რა მნიშვნელობა და რა შეუძლიათ მოახდინონ, ამა იმ დარგში.

ნის სამეცნიერო აკადემიამ ორი წინ მილიონ კრონათ რადის თვალო რაოდენობა შეიძინა და სამეცო გამოკვლევისათვის იქაურ კლინიგადასცა. და აი ამას წინათ ვენის ნცისტებმა აქიმთა საზოგადო კრერადით აქიმობის შედეგები აუ-

დის ხმარობდენ უმთავრესათ პროფ. ს კანის ავათმყოფობის და პროფ. ქეიმის და შაუტის გინეკოლოგიურ ნიკებში.

რველი ნაბიჯი მედიცინაში რადის შნელობის გამოსაკვლევათ მეტათ ასიანო შეიქმნა. რასაკვირველია, ეში გამოკვლევის საქმე უფრო წავა და კიდევ უფრო დიდი აღება მისი მნიშვნელობა. საქმეს ლებს მხოლოდ ის, რომ რადი, რც ზევითაც აღვნიშნე, ძნელი მო-, იშვიათი და ამიტომ ძვირფასი ერებაა.

უფრო საყურადღებოა, რომ რაომოჩნდა ჩვენს ადგილმამულში, ქუან სულ რამდენიმე ვერსის მან-

ამბობ წყალტუბოს აბანოს წყალდი ხანია, საზოგადოება ამ აბაიშვიათი სიხალისით და განკურიმედით ეტანება და, რამდენათაც ბევრსაც იმედები არ გაცრუებია. გარეშეა, ერთი შემადგენლობის სწორეთ ისე, როგორც ერთი წამალი, ყველა სენს არ განკურნავს,—ამას შესწავლა და გამოკვლევა ესაჭიროება... წყალტუბოს აბანოებს კი თითქმის ყოველივე სენით შეპყრობილნი ეტანებიან.

ყველა ავადმყოფობას წყალტუბოს წყალი, რასაკვირველია, არ მოუხდება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ხშირად სასწაული ხდება და საკაცით მოყვანილი დაკუტული ადამიანი აბანოდან თავის ფეხით მიემგზავრება შინისკენ.

აბანოზე მოსიარულე ხალხი თავს უვლის თავისი დაკვირვებით, გამოცდილებით და „წინაპართა“ გადმოცემით. დღეში ზოგი 2—ჯელ ბანაობს, ზოგიც 4—5-ჯელ, ზოგი ამბობს, რომ ბანაობას შემდეგ საჭიროა ოფლის მოდენაო, ზოგიც ამას ყურადღებას არ აქცევს; ზოგი ამბობს—წყალტუბოდან წამოსვლის შემდეგაც ერთი კვირის განმავლობაში დასვენებული უნდა იყო, გაკივებას ერიდო და ოფლი იდინო, ზოგი ყველა ამას ზედ-მეტათ სთვლის...

ნუთუ მისატოვებელია ის აუწერელი სიბინძურე, რომელიც წყალტუბოს აბანოზეა?!

ნუთუ შესაწყნარებელია რომ ერთ აუზში რამდენიმე ათეული ავათმყოფი ჩადის?! სულ ადვილათ შეიძლება ერთი, რომელიმე ავადმყოფობიდან განიკურნო და სხვა შეგეყაროს...

სირცხვილია, ხალხს ასეთი საუნჯე ეზოში ქონდეს და ვერ მოუაროს, ვერ მოაწყოს, ვერ გამოარკვიოს, თუ რას წარმოადგენს, რას უხდება და როგორ უნდა იხმარებოდეს!..

რადიანი სამკურნალო წყლები ჯერ სხვაგან არ აღმოჩენილა.

ნუ ვიგვიანებთ!..

ნუთუ ესეც უცხოელებს უნდა ჩავუგდოთ ხელში, ისინი ბატონებათ გავხადოთ და ჩვენ მოჯამაგირებათ გავუხდეთ.

ამას დაფიქრება და მალე გადაწყვეტაც ესაჭიროება, თვარა „წამხდარ საქმესა რას არგებს მერმეღა თითზე კბენანი“...

ვ. კაკაბაძე.

## ტყობა.

ტრფობით დავეყრდნი[?]ის ტუჩებზე,
მინდოდა კოცნ[?]ოდა მთხვევა,
მაგრამ უც შევკრთი, გავჩერდი,
ვსთქემცთარი ვარ, აქ გზა მერევა...
[?]ენ სულს ვეტრფი და არა სხეულს,
სხეულს, რომელიც მტვრათ გადიქცევა.

ცვარ-ნამი.

## რუსის გამოჩენილი მწერლის იუბილე.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ, მისმა პროგრესიულმა ნაწილმა ვ. კოროლენკოს დაბადებიდან 60 წლის თავი იდღესასწაულა. კოროლენკო დაიბადა 1853 წელს. საშუალო შკოლის დასრულებას შემდეგ, პეტროვორაზუმოვის აკადემიაში შევიდა. აკადემია არ დაუსრულებია და იქიდან 1874 წ გამორიცხეს. ამას შემდეგ მან [?]რლობას მოკიდა ხელი. კოროლენკოს [?]ავრობა სდევნიდა. ამ ათი წლის წინ გადაუხადეს მას იუბილე. მაშინ [?]რ ადგილას გაიმართა მის საპატივსცემოთ სადამოები, ლექციები, ბანკეტ[?] და სხვა. კოროლენკოს მოღვაწეობა ავალმხრივია. მის კალამს ეკუთვნის ბ[?]ტრი[?]ტულ ნაწარმოებს გარდა პუბლისტური წერილებიც. მწერლობა 35 [?]ის წინათ დაიწყო. ის გარშინის, ჩეხ., გლ. უსპენსკისა და სხვათა თანამედროვე მწერალია. მიმართულებით ნ[?]ხაილოვსკის მიმდევარი იყო. 1895 წლის „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტობას მოკიდა ხელი. გარდა „რუსკოე ბ[?]ტსტვო“-სა, უკანასკნელ ხანებში „რუ ვედ.“ თანამშრომლობდა. დღეს იუბ[?]იარი პალტავაში ცხოვრობს. მისი [?]ბილეს დღეს მის ბინაზე მრავალი მილოცვის დეპეში მივიდა. სატახტო გაზეთში მის შესახებ ბევრი წერილი დაისამბა.

## უცხოეთი.

**არეულობა ჩინეთში.** აჯანყებულებმა ბევრი საყურადღებო პუნქტები დაკარგეს. დღეს ისინი სხვადასხვა ქალაქებში გაიფანტენ და მათი რიცხვი ათას კაცს არ აღემატება. ახლა ჩინეთში მშვიდობიანობაა. ჩინელები ჩვეულებრივ სამუშაოს უბრუნდებიან. შენობათა აოხრების გამო 3 ათასი სული უსახლკაროთ დარჩა. სამხრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა [illegible]რის კაცი აჯანყებულთა მისაშველებლათ ძინსინსკში გაიგზავნოსო. სამხრეთ ჩინეთში ვაჭრები აჯანყებას არ თანაუგრძნობენ. იუანშიკაიმ აჯანყებულები რესპუბლიკის მტრათ გამოაცხადა და ღირსათ სცნო, სიკვდილით დასჯისა. იუანშიკაიმ სთხოვა გერმანელ ფირმებს სამხრეთლებს იარაღს ნუ მიყიდით და სამაგიეროთ შეღავათ მოგცემთ შანტუგშიო. ჩინეთში იაპონიის ელჩს ქვები დაუშინეს.

**ახალი მიმართულება რუმინიის პოლიტიკაში.** ორი პარტია არსებობდა—ლიბერალური და კონსერვატიული. ეს ორი პარტია მორიგებით განაგებდენ მხარეს. მართველობის სათავეში ხან ერთი პარტიის წარმომადგენლები მოექცეოდენ ხან მეორესი. 1904 წელს მესამე პარტია გაჩნდა—პარტია ნაციონალური მიმართულებისა იყო. მისი მიზანი იყო, ბალკანეთის კავშირს სათავეში რუმინია მოქცეოდა. დღევანდელი მთავრობა ამ პარტიის აზრს იზიარებს. ბალკანეთის ომში ჩარევა ამ პარტიის წარმომადგენელთა სურვილი იყო.

## ომის ამბავი.

**ოსმალეთის სამხედრო მზადება.** ოსმალეთის მთავრობამ ბძანება გასცა, ანატოლიაში თავისუფალი ჯარის კაცები შეკრიბონ. ეს თავისუფალი ჯარისკაცები ანატოლიიდან სომხეთს გაიგზავნება. განკარგულებაა—ბოსფორის სიმაგრეები დაათვალიერონ. შავი ზღვიდან გემების გასვლა ერთი დღით აკრძალეს. დღეს კი სრუტა თავისუფალია.

**ოსმალები ბულგარეთში.** 17 ივლისს ოსმალებმა ბურგარის და ხარკოვის ოლქში რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. ბაშიბუზუკების ბრბო ადგილობრივმა მილიციამ გაფანტა.

**სამშვიდობო მოლაპარაკება.** ბუქარესტში გარეშე საქმეთა სამინისტროს [illegible] დელეგატები ერთმანეთს დიდი ოვაციებით შეხვდენ. კრების თავჯდომარეობა მარიოსკოს დააკისრეს, გადაწვიტეს—დროებითი ზავი ხუთი დღით გაგძელდეს.

**ადრიანოპოლის შესახებ.** გაზეთი „ტაიმსი“ სწერს:—ინგლისის რწმუნებულმა დიდ ვიზირს ედუარდ გრეის სახელით შემდეგი აცნობა: ინგლისი დაპირდა ოსმალეთს, რომ აზიაში ქონებრივსა და ზნეობრივ დახმარებას აღმოუჩენდა. ოსმალეთმა ადრიანოპოლი [illegible] და ინგლისი იძულებულია ეს დაპირება უკან წაიღოს. ამასთანავე, მოაგონებს ოსმალეთს იმ საფრთხეს, რომელიც [illegible] მოელის. სერბიის დელეგატებმა ბუქარესტის გაზეთის კორესპონდენტს უთხრეს, მოკავშირეთა კონფერენციაზე ადრიანოპოლის შესახებ საკითხი არ აღიძრებაო.

## ერთი სამედიატორო განჩინების გამო.

(წერილი მოსკოვიდან)

მსურს ამ წერილში შევეხო ერთი გაზეთის თანამშრომლის „შრომას“, რომლის „უმწიკვლო“ ცნობებმა მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფის საზოგადოების თვალში დამცირება, დაკნინება განიზრახა.

აწ უკვე განსვენებული ყოველდღიური „მერცხლის“ 12 იანვრის ნუმერში მოთავსებული იყო მოსკოვიდან წერილი შემდეგი სათაურით: „ჩვენი დროის რაინდი“—ბ. ჯოხაძისა. არ შევეხები ამ წერილის ლიტერატურულ ეთიკას მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ ეს წერილი მშვენიერი დამახასიათებელია ავტორის ეთიკისა. ბ. ჯოხაძე მოგვითხრობს ამხ. პ. საყვარელიძის და ს. ალავერდოვის შორის მომხდარ ინციდენტს, ქართველ სტუდენტობას ორ ჯგუფათ ყოფს: „ეროვნულ იდეალებზე“ მდაღადებლათ და იმ ჯგუფათ, რომელსაც ეკუთვნის თვით ბ. ჯოხაძე.

პ. საყვარელიძემ თავის დროზე ბ. ჯოხაძის ცალ-მხრივ და დამახინჯებულ წერილს ღირსეული პასუხი გასცა. ბ. ჯოხაძე უწოდებს ჩვენს ჯგუფს „შოვინისტრაინდებს, მჟავე პატრიოტებს, საყვარელიძის დიდსა და პატარა დამქაშებს.“ ამ სიტყვებს ვინ მიაქცევდა ყურადღებას, რადგან დასელების ბუნებას ჩვევია ამ გვარი ხრიკებით ლილოს გატანა, მაგრამ ბ. ჯოხაძემ ამას გადააჭარბა და სასტიკი ცილი დასწამა ერთ ჯგუფს სტუდენტობისას. იგი სწერს: „პ. საყვარელიძის ასეთმა ველურობამ ააშფოთა ყველა, გარდა მისი დამქაშებისა, რასაკვირველია. ჩვენ გადავსწყვიტეთ შევკრებილვიყავით და მსჯავრი დაგვედო მისი საქციელისათვის. ამ გადაწყვეტილებამ ძლიერ დაფთხო და

ვე, რაც ემართება (ხანდახან) გაებულ ადამიანს, რომელმაც ყვერი დაკარგა და რომელიც თავის ხოლოდ მშიერ სიკვდილს ხედავს... ამ დროს იგი, სრულიად შემთხვეთავის დავიწყებულ ფულის ყუთში, ობს კიდევ ერთ მილიონს. „(Strod-) ეს განძი იყო სიმბოლიური გატვა მისი რელიგიისა.

ქრაძისებურ დამფასებელთ, რომლეპოეზიის მარტო მაშინ იწამებენ, თუ პირდაპირ ემსახურება დემოკრატილიურ საკითხს, აი რას მიუგებდა ჰეინე (ლექსი მოგვყავს რუსულათ მნილი)

„Божый милостью поэта
Геніем мы называем:
Неотвѣтственный монарх он
В царствѣ мысли. Только Богу,
Не народу, он отвѣтсвенен.
Кан и в жизни, так в искуствѣ
Нас народу судит не может,—
Может он лиш убиват нас“.

ტათ შემდეგ ჩვენ მისგან უფრო ალურ აზრსაც მოვისმენთ, პოედა სადღეისო საკითხის შესახებ: როგორც კი მიაწევს დემოკრატია ნამდბატონობას, ყოველი პოეზიის დაული დადგება, ამ ასასრულთან გარელ ხანათ იქცევა ტენდენციური ..., პოეზიის ქვეყანაში tiers état-ი სასარგებლო, პირდაპირ მავნებე-... და სხვ.

უკიდურესობას, რომელიც ჰეიგამოუთქვამს პოეზიაზე, ჩვენც არ ებთ, მაგრამ სასაცილო ის არის, ბ-ნი ბაქრაძე და მისი მოწაფე; ული“ ამ ჰეინეს ასე ნაკლებ იცნოდა ვიწრო უტილიტარიზმის დებუდამცველათ გამოყავთ. აბა, რა ბ-ნმა ბ—ძემ, თუ მისი იარაღი სასიკვდილოთ დასჭრიდა. გადვიჰიუგოზე, იმ ჰიუგოზე რომელიც გრიშაშვილისებურათ მოაზროვნეთ, დამარცხებულათ გამოყავს. „მიეცით თავი“, ამბობს ჰიუგო, „ოცნებას, პოეტნო; მიეცით მას თავი მხატვარნო, ფილოსოფოსნო. ოცნება—განხორციელებაა. ადამიანის მისდამი ლტოლვა ხსნის მთელ მხარეს ისტორიისას და ხელოვნებისას. პლატონი ოცნებობდა „ატლანტიდაზე“, დანტე—„სამოთხეზე“, მილტონი „ედემზე“. ის, რასაც პედანტები უწოდებენ „კაპრიზს“, უპკუონი--სისულელეს, უვიცნი—გალიუცინაციებს, სწორეთ ეს არის ის ღვთისგან ბოძებული ფანტაზია, ის განსხვავებული მდგომარეობა ტვინისა, რომელიც არაოდეს არ ტოვებს პოეტებს“... აი, სწორეთ ამის გამო უთქვამს ბაირონსაც, რომ „ღამის ჩურჩული მას უფრო ესმის, ვიდრე ხალხთა ხმა“. ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, თვითონ ბ—ძის მიერ დასახელებულნი ხელოვანნი, რომელნიც მან ჩემს წინააღმდეგ მომართა, მისსავე ვიწრო შეხედულებაზე (ჰეინე) და პოეტურ სინამდვილეზე (ჰიუგო) ულმობელათ და სასტიკათ აქარწყლებენ. დასაბუთებაც ასეთი უნდა!..

არ მესმის, რათ გაიწკეპლა თავისი თავი ამ ახლათ მოვლინებულმა უნტერ-აფიცრის ცოლმა!. ბ-ნ ბ—ძეს გონია, რომ ვ. რუხაძეს ერთგვარობა იმის გამო დავწამე, რომ ის განსაზღვრულ მსოფლმხედველობას აღიარებს და მისი შინაარსი არ იცვლება. ამ მის მიერვე შეთხზულ დებულებას ანვითარებს და ისეთ აზრებს მაწერს, რომლებიც თავშიც კი არ გამივლია; თითქოს აქიდან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლებოდეს, რომ ერთგვარ მსოფლმხედველობის მქონე პოეტები ჰეინე, ჰიუგო, ილია, აკაკი, ბარათაშვილი და სხვ. „პაპავას აზრით საშინელ ერთგვარობის წარმომადგენელნი იყვენ და მათი ქნარიც დადუმებულია!!

ჯერ ერთი, რომ ამ მწერალთა შედარება რუხაძესთან შეუძლებელია, ისე ჩემი და რესკინის გვარის მეზობლათ მოხსენება. საქმე ის არის, რომ ეგ მწერლები მრავალმხრივნი არიან, მათი შემოქმედებაც შეგვიძლია მრავალის კლასიფიკაციის საშვალებით დავყოთ. გარდა ამისა ეს პოეტები მარტო ლირიკოსები არ არიან, მათ რთული ნაწარმოები აქვთ და მრავალიც, რომელთა შორის ბევრი კლასიკურია. ამ ნაწერებში ისინი მრავალ სხვადასხვაგვარ პრობლემებს ეხებიან მაგრამ ეს შეეხება იმდენად ფაქიზი და ნაზია, რომ მათში გატარებული მთავარი აზრი ნაძალადევის ხასიათს არ ახდენს. იგი გულწრფელი და ბუნებრივია, ამის გამო მოკლებულია ტენდენციურ ხასიათს და შესაფერ ემოციებსაც იწვევს ჩვენში. კიდევ ის, რომ მათი სიმბოლო ყოველთვის მარადიულ პრობლემებს უვლის და სწყვეტს და ამიტომ უკვდავია.

რუხაძის შემოქმედება მიტომ კი არ არის პროგრამული, რომ იგი ბრძოლის მოტივებს ღაღადებს და ერთგვარი შინაარსის მატარებელია, არამედ იმიტომ, რომ ამ ბრძოლის და თავის მიზნის პრობლემას იგი რთულ ნაწარმოებში არ შლის (რომანში, პოემაში, დრამაში და სხვ.) არამედ მარტოოდენ ლირიულ ლექსებში. მაგრამ ესეც არ არის უმთავრესი; შესაძლოა ლირიულ ლექსებშიაც ღრმათ გაშალო პრობლემა, ფართო მსვლელობა მისცე მას და დასკვნაც არ იქმნეს არაბუნებრივი და ტენდენციური. ყოველ ლექსში პოეტი ახალს უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს ახალი ძირითად ძველს არ უნდა უარყოფდეს. თუ კი მკითხველი წინასწარ ხვდება პოეტის სიმბოლოს განმარტებას, მისს შინაარსს, მაშინ პოეტური შემოქმედებაც მკვდარია და უსიცოცხლო ახლა მაჩვენეთ ბარათაშვილის ლექსებში ისეთი, რომელიც დასაწყისშივე აგიხსნით მთელ თვისს განვითარებას და აზრს (თუ მას წინასწარ არ იცნობთ) და მელშიაც არ სამ სტრიქონის შემდგომ არ მახვდეთ მთელი აზრი, სიმბოლოს განმარტება, სახეები და თითქმის წვრილმანური ფორმებიც კი...

ვსთქვათ პოეტი ლაპარაკობს სევდა ვარამზე, რომელიც მის გულს ღრღნის და აწამებს, აქ წინასწარ ხვდებით, რომ ორ-სამ ხანის შემდგომ იგი დაგმობს და შეაჩვენებს ამ სევდას და იმედის დროშას აამფრიალებს.

ავიღოთ მეორე ლექსი, საცა პოეტს იწვევს ცად ოცნება და ეძახის თვის მომხიბლავ წიაღში; აქ წინდაწინვე ვიცით, რომ რამდენიმე სტრიქონებს შემდგომ იგი, უეჭველათ, დასძენს: „ნუ, ნუ მეძახი ოცნებავ ცისკენ, მინდა მარადის აქ რომ ვიბრძოლო“ და სხვ.

შემთხვევით კითხულობთ ლექსს, საცა აღწერილია: ქალაქში განათებულ ადგილას ოთახში „როიალი სჭექს და გრგვინავს, აქ ცეკვაა, იქ ხარხარი“ და თქვენც უეჭველათ იცით, რომ აქვე აღწერს პოეტი მუშას, მდგომს იქვე კედლის ძირას, რომელსაც შიმშილით სული ძვრება.

თუ კი მდიდრები ახალწელს ეგებებიან, ან აღდგომას დღესასწაულობენ, ღარიბს უეჭველათ იმ ღამეს ხდებათ შიმშილით სული.

თუ გაზაფხული მოვა და ია-ვარდი ყვავის, ქვეყანა განახლებას გრძნობს, პოეტიც იტყვის: „ნეტა ჩვენზეც ვრცელდებოდეს ეს უცვლელი კანონ-ძალი“.

თუ დედა შვილს დასტირის, იცით უეჭველათ იქვე იტყვის პოეტი: „წინ უძევს შვილის ცხედარი, მტარვალთა ხელით მოკლული, როდესაც უსამართლობას ებრძოდა გაამფთრებული“ და სხვ.

სულ ასე და ამრიგათ. რად ხდება ეს? იმიტომ, რომ რუხაძე პოეტურ შემოქმედებას არ მიზდევს, იგი მხოლოდ იმას უმღერის რასაც პროგრამა გვასწავლის; ხოლო იგი პროგრამა ჩვენთვისაც ცხადი და ნაცნობია, ამიტომ, თუ პოეტმა ვერ ხველს შეუძლია დაამთავროს, მიხვდეს—რისი თქმა უნდოდა რუხაძეს ამის შემდგომ და, როგორც ზევით დავინახეთ, იგი ამ შემთხვევაში ძალიან ძვირად მოტყვილდება. ასეთი სიმეტრიული და პროგრამული რუხაძის შემოქმედება და თუმცა დღესდღეობით შეიძლება უფრო გამოსადეგი პირდაპირ ბრძოლის საქმეში მაგრამ არა პოეტური. რა თქმა უნდა, თუ ბ-ძესავით დავკმაყოფილდებით მარტოოდენ იმით, თუ რამდენად გამოსადეგია მუშათა ხალხისთვის ეს ლექსები, როგორც საზეპირო ბრძოლის ჰიმნი, მაშინ რუხაძის ლექსები დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენ უფრო ფართოდ ვუცქერით პოეტურ შემოქმედებას და მისი დანიშნულებაც ასე პრიმიტიულად, მარტო „სადღეისოდ“ არ გვესმის.

ბ-ნ ბაქრაძეს სურს ხელოვნებაც ამ გამოსადეგის და „სადღეისოს“ მხრივ დააფასოს და უნებლიეთ მაგონებს ჩეხოვის მოთხრობის „Панихида“-ს გმირს, მეწვრილმანეს, რომელსაც ქალაქში გადაკარგული ქალიშვილი დაუბრუნდა ერთხელ და რომლიდანაც მამამ, მეწვრილმანე ვაჭარმა გაიგო, რომ მისი ქალიშვილი გაბოროტებულა—აკტრისად წასულა.

გამოთხოვების წინ ქალი ათვალიერებს მშობელ მიდამოს.

„Какіе у васъ чудныя мѣста!“ восхищалась она, гуляя. —Что за овраги и болота! Боже, какъ хороша моя родина!“

И она заплакала.

— Эти мѣста только мѣсто занимаютъ... думалъ лавочникъ тупо глядя на овраги и не понимая восторга дочери. Отъ нихъ корысти, какъ отъ козла мелока“...

ასეთია ბ-ძის მსჯელობის მეთოდიც, მას სხვაგვარად არ შეუძლია წარმოიდგინოს პოეტური ნაწარმოების ღირსებაც;

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი პახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში.**

| ბორჯომის წყალი | | თავის ქურქლით. | |
|---|---|---|---|
| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ია.) |
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

შეაფიქრიანა ჩვენი „მამულიშვილები“ ბევრს ეცადენ ხელი შეეშალათ დანიშნული კრებისათვის. არავითარ საშვალებას არ ზოგავდენ: კრებაზე მონაწილეობაზე უარის თქმიდან, პოლიციაში დაბეზღებამდისაც კი მივიდენ. მათ შემდეგი საზიზღარი საქციელი ჩაიდინეს: კრების წინა დღეს იმ ამხანაგმა, რომელთანაც უნდა შევკრებილიყავით ხელმოუწერელი სამ კაპ. ღია ბარათი მიიღო (ავტორის, უკეთ ვსთქვათ ავტორების ფიზიონომია თვითეულ ასოში საკმაოთ გამოსჭვიოდა) შემდეგი შინაარსით: პოლიციამ იცის კრების ამბავი საშიშია შეკრება..., შესაძლებელი იყო, ეს ღია ბარათი ჩავარდნოდათ ხელში ვისაც ჯერ არს და ავტორთა საზიზღარი და სახიფათო ტყუილი გამართლებულიყო. ბ. ჯოხაძის მიზანი იყო როგორმე ჩირქი მოეცხო ჩვენი ჯგუფისთვის. აქ, ვსთქვათ, გაიმარჯვა, მაგრამ ახლა ვნახოთ, ეს მისი გამარჯვება რამდენათაც სასიხარულო დაურჩა თვითონ მას და მის მოქომაგეებს. ვნახოთ, როგორ მოინათლა ჩვენი დროის რაინდათ თვითონვე მან თავისი თავი. ასეთი რაინდობისათვის ჯგუფმა გამოიწვია ჯოხაძე სამედიატორო სამართალში: ბ. ჯოხაძე ამოირჩია ჩვენი სტუდენტი ვართანიანცი. ის დაგვეთანხმა. მედიატორებათ მოიწვიეს, ჯგუფის მხრით ნაფიცი ვექილის თანაშემწეები: მ. რ. ჩოჩია და გ. ა. ჟღენტი, ვართანოვის მხრით ნაფიცი ვექილის თანაშემწეები გ. ი. ხუნდაძე და გ. ნ. ანჯაფარიძე. მედიატორებმა მოიწვიეს თავჯდომარეთ ნაფიცი ვექილი ს. ფ. პლევაკო.

სამედიატორო სასამართლოს ჯგუფმა წარუდგინა შემდეგი საკითხები გამოსარკვევათ: რა საფუძველი ჰქონდა ბ. ჯოხაძე—ვართანოვს, რომ ჩვენს ჯგუფს, თავის იდეალებით განცალკავებულს იმ ჯგუფიდან, რომელსაც ეკუთვნის ბ. ჯოხაძე-ვართონოვი, არ უნდოდა მიეღო მონაწილეობა ამხ. პ. საყვარელიძის და ს. ალავერდოვის შუა მომხდარი ინცინდენტის გასარჩევათ მოწვეულ კრებაზე: რომ ჩვენი ჯგუფი ხმარობდა ყოველ ღონისძიებას, კრებაზე მონაწილეობის უარის თქმიდან, პოლიციაში დაბეზღებამდისაც კი რომ ჩვენმა ჯგუფმა გამოგზავნა უსახელო წერილი იმის შესახებ, რომ კრების მოწვევა იცის პოლიციამ და შეკრება საშიშიაო.

სასამართლომ მოისმინა ვრცელი მოხსენება ბ. ვართანოვისა, ჯგუფის წარმომადგენლებისა—ი. წერეთლისა და ვ. ჟორდანიასი, დაკითხა მოწმეებს, მიიღო მხედველობაში ამ საქმისათვის წარდგენილი მასალები: პირველი წერილი ჯოხაძისა გაზეთ „მერცხალში“ ამ სათაურით „ჩვენი დროის რაინდი“, საპასუხო წერილი „სახალხო გაზეთში“; მეორე წერილი ჯოხაძისა გაზეთ „დილაში“ და მოწოდება ალავერდოვისა ქართველ სტუდენტობისადმი, და დაადგინა გასარჩევათ შემდეგი სამი საკითხი: 1) დამტკიცდა თუ არა, რომ ჯგუფს არ უნდოდა მიეღო მონაწილეობა ინცინდენტის გამოსარკვევათ დანიშნულ კრებაზე 2) დამტკიცდა თუ არა, რომ, როდესაც მაინც შესდგა კრება ინცინდენტის გასარჩევათ ჯგუფმა სტუდენტობისამან, რომელიც გამოცხადდა კრებაზე, გამოუცხადა ბოიკოტი, რომ ინცინდენტის გარჩევა არ მომხდარიყო და 3) ჰქონდა თუარა საფუძველი ბ. ჯოხაძე ვართანოვს თავის წერილში, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „მერცხალში,“ დაებრალებია ანონიური წერილის გამოგზავნა ჯგუფისათვის.

პირველ საკითხის შესახებ სამედიატორო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯგუფს უნდოდა თავიდან აეცილებინა ინცინდენტის გასარჩევათ მოწვეულ კრებაზე მონაწილეობის მიღება.

მეორე საკითხის შესახებ სამედიატორო სასამართლომ დაადგინა, რომ ჯგუფის მიმდევარნი (რიცხვით 9 კაცი), რომელნიც გამოცხადდენ კრებაზე, გამოცხადდენ არა ბოიკოტის გამოსაცხადებლათ.

მესამე საკითხის შესახებ სამედიატორო სასამართლომ დაადგინა, რომ ბ. ვართანოვს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი ანონიმიური წერილის გამოგზავნა მიეწერა არც მთელი ჯგუფისთვის და არც ჩაეთვალა, რომ ის წერილი გამოგზავნილია ჯგუფიდან ამ რიგათ, ნათლად სჩანს ფიზიონომია ბ. ვართანოვისა, რომლის მიზანს თურმე შენადგენა როგორმე ჩვენი ჯგუფის ზნეობრივი სილატაკის ჩვენება ბ. ვართანოვმა თვით თავის ხელით მოიცხო ჩირქი საზოგადოების თვალში, და აჩვენა საზოგადოებას თავისი ზნეობრივი სილატაკე. სხვა რა უნდა ვუწოდოთ მის სასტიკ ცილისწამებას და საერთოთ მის დემოგოგიურ წერილს.

**ე. ენგინიძე.**

„корысти, какъ отъ козла молока“.

ამიტომ მას სწამს ფანატიკურათ თავისი მსოფლმხედველობის აშკარათ მადიარებელი პოეტი და თუ უკანასკნელს კრიტიკულათ შეეხე, მას გონია აქ ჩვეულებრივ პარტიულ ჟინიანობას აქვს ადგილი და, კრიტიკის ნაცვლათ, იაფფასიან დამცველობას კისრულობს. იგი ამბობს: ,,სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი პაპავას კრიტიკულ განავარდებისა ხდება ერთი ფრიად ნიჭიერი ჩვენი პოეტი ვ. რუხაძე‘‘.

და ბრაზმორეული, უკიდურესობაშივარდება და მეც გაუგებარ აზრებს მაწერს. ჭეშმარიტათ, ძნელი საქმეა ჩვენში მიუდგომელი მსჯელობა და კრიტიკა, არაპარტიული ჟინიანობის გარეშე სჯა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მე ვ. რუხაძეს ,,უტყუარი პოეტური ნიჭი მივაწერე, მისი პოეზიის უმთავრესი მოტივი, ბრძოლის ჰანგებიც, სოციალური კონტრასტის ასახვაც აღვნიშნე; აღვნიშნე მისი ალღო ბუნების ლამაზათ აღწერისა და სხვა თვისებანი, მაგრამ ეს არ მაძლევდა უფლებას ბოლომდე მიუდგომელი და ობიექტიური არ ვყოფილიყავ და ამის გამო, მთლიანობის ინტერესისათვის და საქმისათვის, აღვნიშნე მისი ნაკლიც მეგონა—პოეტი ამას მხედველობაში მიიღებდა და შეცდომას გაასწორებდა; მაგრამ გამოჩნდა ,,კრიტიკოსი‘‘, რომელმაც ეს ნაკლი დადებითად ჩაუთვალა და ყოველმხრივ სრულ პოეტათ აღიარა ბ-ნი რუხაძე; ვერ პოვა მის შემოქმედებაში ვერც ერთი დეფექტი. თუ კრიტიკა ნათლი მამობაზეა დამოკიდებული, ბ-ნ რუხაძეს არც მე ვსცემ ნაკლებ პატივს; მაგრამ მე ჩემი გზა უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი მგონია მისთვის, ვიდრე ბ-ნ ბ-ძის იაფფასიანი აპლოდისმენტები.

**აკ. პაპავა.**

(დასასრული იქნება)

## თეატრი და ხელოვნება.

კვირას 21 ივლისს ქუთაისში ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ გამართა იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა. ითამაშეს „სამშობლო“. უმთავრეს როლებში კარგები იყვნენ ლევან ხიმშიაშვილი (ან. მურუსიძე), ქეთევანი (მარო მდივნის ასული). სუსტი იყო ლეონიძე (მ. მგალობლიშვილი). როლი კი ზეპირათ დაესწავლა, მარა არ აქცევდა ყურადღებას მიხვრა-მოხვრას, ხმის აწევ-დაწევას. მოისუსტებდა შახი (ბ. ბარველი). მისი ხელოვნურათ დინჯი ხმა ხალხში სიცილს იწვევდა, მეორე ხარისხოვან მოთამაშეებში ზოგმა როლი არ იცოდა, ზოგი შეუფერებელ კილოზე ლაპარაკობდა, და ზოგსაც ტლანქი მიმოხვრა ქონდა. მიუხედავათ იმისა, რომ მსახიობთა თამაშ გრძნობები აეშალა და შესაფერი შთაბეჭდილება მოეხდინა, ხალხი განუწყვეტლივ იცინოდა, იცინოდა მაშინაც კი, როცა სცენაზე საშინელი დრამა ტრიალებდა და ეს სულ მსახიობთა არა ხელოვნურ თამაშის გამო, აქაო-და სახალხო წარმოდგენა არის და გემოვნება განუვითარებელი ხალხი დაესწრებაო, ეს დრამატიზმით აღსანიშნავი პიესა ვოდევილათ გახადეს. ნუ დაავიწყდებათ რომ ხალხისთვის თუ მართავენ წარმოდგენას, სწორეთ მეტი ყურადღებაც უნდა მიაქციონ ხელოვნურ თამაშს, რომ ამით ხალხს თეატრი შეაყვარონ.

**მეთვალყურე.**

## მიმართვა.

**ქართველ საზოგადოებისადმი.**

მკითხველს გაუკვირდება, თუ მოვახსენებთ, რომ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში 3000-დი ქართველი მოსწავლეა. ეს ამოდენი რიცხვი მომავალი ქართველ ინტელიგენციისა სრულიად ჩამოშორებულია სამშობლო კულტურას და ძალა-უნებურათ უცხო კულტურას ითვისებს. ქართველი სტუდენტობა თვით გრძნობს ამ დამამახინჯებელ მოვლენას და ცდილობს თავი როგორმე დაიხსნას. ამ მიზნით, სტუდენტებს, თითქმის ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქში აქვთ სამეცნიერო წრეები და ქართულ კულტურის შესწავლას ცდილობენ. ერთი ასეთი წრე მოსკოვშიც არსებობს ამ სახელით: „ქართული კულტურის მოყვარე სტუდენტთა წრე ი. ჭავჭავაძის სახელობისა“. არსებობს ეს წრე, მაგრამ ბევრი ვერა გაუკეთებია რა, მხოლოდ იმიტომ, რომ სახსარი არა აქვს. საჭიროებას შეადგენს სამკითხველო ბიბლიოთეკა, სადაც შეგროვილი იქნება ქართული ჟურნალ გაზეთები და წიგნები. ეს წრეს შეძლებას მისცემს თავის მიზანს—ქართულ კულტურის შესწავლას—მიაღწიოს. წრე უკვე შეუდგა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობას. წრის გამგეობამ მოსკოვის საქალაქოს საბჭოს სთხოვა, რათა ნება დაერთო. „გოგოლის სახელობის საქალაქო სამკითხველოში“ ქართული ჟურნალ-გაზეთების მოთავსებისა (საკუთარ შენობას წრე ვერ გაიჩენს სიძვირის გამო). ამის ნება მოსკოვის საქალაქო საბჭომ უკვე დართო, ასე რომ წრეს შემოდგომიდან უკვე შეუძლია სამკითხველო გახსნას. საჭიროა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები, ამიტომ წრე ქართველ საზოგადოებას დახმარებას სთხოვს: მოგვაწოდეთ ჟურნალები, გაზეთები, წიგნები და ფული სამკითხველოს შესაძენათ და ამით ხელი შეგვიწყეთ ჩვენის ქვეყნის გაცნობა-შესწავლაში. ერთხელაც იყო ჩვენი წრის ასეთი მოწოდება გაზეთებში, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია, გარდა ი. ჭყონიასი, რომელმაც რამდენიმე წიგნი მოგვაწოდა. ვუძღვნით-რა მადლობას ბ. ჭყონიას, ვიმედოვნებით, რომ ქართველ საზოგადოება ახლა მაინც, როდესაც მოსკოვის საქალაქო საბჭომ, ჩვენთვის უცხომ, საშველად ხელი გამოგვიწოდა, ჩვენს მოწოდებას ჯეროვან ყურადღებას მოაქცევს და დაგვეხმარება.

ვინც კეთილ ინებებს და წიგნებს შემოგვწირავს, ვთხოვთ ამ ადრესით გამოგზავნონ: Москва. Малый Конюшковскій пер. 7 кв. 17 студ. Іосифу Григорьевичу Татишвили. ხოლო თუ ვინმე ფულის შემოწირვას ინებებს, ვთხოვთ ის ფული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიას გადასცეს, იქიდან წრე წამოიღებს მისთვის საჭირო წიგნებს, ხოლო იმავე ადრესით გვაცნობეთ‘ რომ ფული გადაცემულია.

**ქართული კულტურის მოყვარე სტუდენტთა წრის გამგეობა.** (ს. გ.)

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.

**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობორთან

**ა. თაბაგარის მაღაზიაში**

**20 ივლისიდან დანიშნულია**

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ველოსიპედების და სხვ.**



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქ... გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

ფასები ძლიერ დაკლებულია

**აბანო**

**ძმ. ყორყოლაძეებისა**

მიმართეთ პირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წ...
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვ... სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკ... ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი... სილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფ... ნა და სასმელსაჭმელი.

**გ. მორდამის და ს. წერეთლის**

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკ... ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСК...

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

**„პატოკსან“.**

**„პატოკსან“** შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ლონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიგის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

**„პატოკსან“** ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

**„...ნ“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.